მანანა დარჩაშვილი •
ეკა დარბაიძე •

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921) ••

აბსტრაქტი

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მართალია მცირე ხანი (1918-1921) იარსება მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში, რადგან სამემკვიდრეოდ ამ სამმა წელმა დატოვა საჩვენებელი სახელმწიფოს მოდელი, სადაც თანასწორად უზრუნველჰყოფილი იყო ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებები განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

შესაბამისად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში საკითხით დაინტერესების, პოლიტიკური მემკვიდრეობის მიუხედავად, არსებულ სინამდვილეში არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობის, მოწესრიგების გამოსავალი გზების ძიებისას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის, პოლიტიკაში ჩართულობის, გასაუმჯობესებლად, როგორც არაერთი მკვლევარიც მიიჩნევს, წარსულის გამოცდილების შესწავლა/გაზიარება, მეტად აქტუალურია. ამასთან, მთელი რიგი ფაქტებით დასტურდება, რომ ეს ერთ-ერთი ის საკითხია, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობად მიიჩნევა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი წარსულში არსებული, სწორი პოლიტიკური გააზრებით, პრობლემის დასმა და მოგვარების

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

შესაძლებლობის წარმოჩენაა, რაც ქვეყნის მომავალი თაობებისთვის გარკვეული შესაძლებლობის შეთავაზებაა, ააშენონ დემოკრატიული, ისეთი სახელმწიფო სადაც იქნება დიდი მცდელობა სრულად დაცული იყოს თითოეული მოქალაქის უფლება, განურჩევლად ენისა, სქესისა, რელიგიისა. ამასთან, ყველას ექნება განვითარების შესაძლეობა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, დამოუკიდებლობა, ქალთა უფლებები, დემოკრატია, 1918-1921წწ.

შესავალი

საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი აქტიურად განიხილებოდა. ეს არც გასაკვირია, რადგან მსოფლიოში მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან გააქტიურებულია ქალთა მოძრაობები, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ისედაც გააქტიურ პოლიტიკურ პროცესებზე. აღნიშნული მოვლენები ასახული იყო პერიოდულ პრესაში, მითუმეტეს თვითონ ქალებიც ეწეოდნენ აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ამდენად, ამ პერიოდის პრესა, სხვა საინტერესო დოკუმენტურ პირველწყაროებთან ერთად, უტყუარ საინტერესო ფაქტებს წარმოგვიდგენს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში 1918-1921 წლებში.

თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი განსჯის საგანი იყო მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან, პერიოდულ გამოცემებში იყო ფართო პოლემიკა „დედათა კითხვაზე“.

ნაშრომის მიზანია, არსებული ფაქტების განხილვით წარმოადგინოს ზოგადი სურათი თუ როგორი იყო საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა 1918-1921 წლებში, არსებული ვითარება პრაქტიკულად შეესაბამებოდა თუ არა მათ პოლიტიკურ დებულებებს თანასწორობასთან მიმართებაში. მითუმეტეს, თანამედროვე ეტაპზე, მტკიცებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ თანასწორობა

დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ამასთან ვალდებულებაცაა მთელი რიგი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დოკუმენტებით.

ქალთა საკითხი საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე

საქართველოში საზოგადოებრივ/პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პერიოდამდე არსებობდა. ამის ნათელი დასტურია ქალთა აქტიური საქმიანობა „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, ზოგიერთი მათგანი კი ამ საზოგადოების საპატიო წევრიც იყო (1879-1927 წელი), ისინი ჩართულნი იყვნენ იმხანად საქართველოში ახლადჩამოყალიბებულ ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში, კერძოდ ბიბლიოთეკებში, სკოლებში და ასევე სხვადასხვა დაწესებულებებში, რითაც წარუშლელი კვალი დატოვეს, როგორც ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო, ისე პოლიტიკურ ასპარეზეე. არაერთი მათგანი მოღვაწეობდა პრესაში, რაც საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა, მაგალითად ფასდაუდებელია ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის მოღვაწეობა გაზეთებში “დროება”, “ივერია”, “ჯეჯილი”, “კვალი“ ასევე მის სახელს უკავშირდება ქალთა საზოგადოება “განათლების” დაწესება, ქალთა საშუალო სასწავლებელი და სხვა არაერთი ქალთა განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობა. საინტერესოა ასევე ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილის, ბარბარე ერისთავი ჯორჯაძის და სხვათა მოღვაწეობაც, რომელთაც არაერთი საინტერესო საკითხი წამოწიეს პრესაში როგორც ქალთა და საერთოდ განათლების საკითხებთან, ისე საერთო საქვეყნო საქმესთან მიმართებაში. ფასდაუდებელია ასევე ქართველი ფემინისტისა და პუბლიცისტის კატო მიქელაძის საქმიანობაც, რომელმიც საქართველოს დამოუკიდების გამოცხადებამდე, გააქტიუ-

რა თავისი საქმიანობა ქალთა უფლებების მოთხოვნით, 1917-1918 წლებში ჩამოაყალიბა რეგიონალური ქსელი „ქალთა ლიგა“, სადაც აქცენტი ქალთა სამოქალაქო, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალ-ურ და კულტურული უფლებების ერთობლიობაზე იყო. გამოსცემ-და და რედაქტორობდა ყოველკვირეულ საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურულ გაზეთს - „ხმა ქართველი ქალისა“, რომელშიც სხვა აქტიურ ქალბატონებთან ერთად იბრძოდა ქალთა უფლებების დასაცავად (მელაძე, 2017), ყველა ნომერი შეიცავდა მოწოდებას - „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!“ (2013 წლიდან "ქალთა ფონდმა საქართველოში" დააწესა მისი სახელობის პრემია (ქალთა ფონდი საქართველოში, (2013).

აღნიშნული მაგალითები მოწმობენ, რომ საქართველოს სა-ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქალთა აქ-ტივობები, თანასწორობის საკითხი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბიკაში (1918-1921 წლები)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი (1918-1921 წ.წ.) მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც პოლიტიკური, ისე მენტალური/ღირებულებითი თვალსაზრისით. მიუხედავად მცირე დროისა, ქვეყანამ დაიმკვიდრა პროგრესული, დემოკრატიული, თა-ვისუფალი სახელმწიფოს სტატუსი. ამ დროის, პოლიტიკური და საზოგადოების ნაწილისთვის, უკვე სწორად იყო გაცნობიერებული და განხილვის საგნად იყო გამოტანილი, თანამედროვეობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ქალთა უფლებები, თანასწო-რობა, მათი განათლების ხელშეწყობა, პოლიტიკაში ჩართულობა. საქართველოში ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ სა-უკუნეზე მეტი ხნის წინათ სწორად ჰქონდათ გააზრებული, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხი, როგორც დემოკრატიის დამ-

კვიდრების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, რაც არჩევნების ჩატარების წესშიც კი კარგად ჩანს, დებულების პირველივე თავის პირველი მუხლი იწყება, ჩვენი კვლევის კუთხით მნიშვნელოვანი, დემოკრატიული შინაარსის განცხადებით: „დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთო-განურჩევლად სქესისა, - თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“. დებულების მეორე თავის მესამე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ „დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვისოცი წელი შესრულებიათ“ (დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, 1918).

შესაბამისად, გასაკვირიც არაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წლის 14-16 თებერვალი), ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე, ქალებს აქტიური და პასიური უფლებაც ჰქონდათ. საყურადღებოა, რომ 15 საარჩევნო სუბიექტიდან 6 სუბიექტს ჰყავდა ქალი წარმომადგენელი სიაში (სულ 26). დამფუძნებელი კრების წევრობაზე წარდგენილ საქართველოს სოციალ-დემოკრატთა საარჩევნო 130 კაციან სიაში 6, მათ შორის ერთი არაქართველი, ქალი იყო („საქართველოს რესპუბლიკა“, 1919[1]), მიღებული 109 მანდატიდან კი საკანონმდებლო ორგანოში 5 ქალი იყო წარმოდგენილი; ეს რა თქმა უნდა ორივე სქესის თანაბარუფლებიანობასა და პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პრესის ფურცლებზე ხშირი იყო მათი ინიციატივების შესახებ ინფორმაციები (განათლების, ჯანმრთელობის საკითხებ-

[1] ქალები კომისიების წევრებიც გახდნენ. მეტიც ერთი დამფუძნებელი კრების მდივანი გახდა.

ზე). იმ დროს როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალებმა ხმის მიცემის უფლება გაცილებით გვიან მოიპოვეს.

ქალი კანდიდატები პოლიტიკურ პარტიების სიაში

პოლიტიკური სუბიექტები	სიაში ქალთა რაოდენობა	არჩევნებში გამარჯვებული ქალები
N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	6 კანდიდატი	5 კანდიდატი
N3 საქართველოს სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტია	5 კანდიდატი	
N4 სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკციუთუნი“	2 კანდიდატი	
N5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია	9 კანდიდატი	
N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია	1 კანდიდატი	
N9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია	3 კანდიდატი	

განსაკუთრებით საინტერესოდ მივიჩნიეთ 1918-1921 წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტებით ხაზგასმა თანასწორობაზე, აქედან გამოვყოფთ განათლების საკითხთან მიმართებაში მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (1918 წლის 3 სექტემბრის დებულება, N15, N16), სადაც აღნიშნულია, რომ „ტფ. უნივერსიტეტის

სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონდეთ გათავებული, თვითეულს ფაკულ-ტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომ-სვლელთ რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა წინასწარ მოსთხო-ვონ“ და რომ „სტუდენტს გარდა ტფ. უნივერსიტეტში ორთავე სქე-სის მსმენელები არიან“ (შარაშენიძე,1990). თუმცა, აღნიშნული უკვე გასაკვირი აღარც იყო, რადგან უნივერსიტეტის დაფუძნებაში ქალე-ბიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი (ელისაბედ ორბელიანი, ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე).

საყურადღებოა რომ საქართველოში ქალთა აქტიურობა და თანასწორუფლებიანობა, 1920 წელს სოციალისტური დელეგაციის წევრებმაც დააფიქსირეს (ჭანტურიძე, 2018).

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში კი ჩაიწერა, რომ „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სა-მოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით (მუხლი 39); საყუ-რადღებოა კონსტიტუციის 126 მუხლი სადაც ჩანს სახელმწიფოს ზრუნვა დედებზე, კერძოდ ნათქვამია, რომ „განსაკუთრებული კა-ნონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუ-შაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგი-რის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები“ (საქარ-თველოს კონსტიტუცია, 1921).

დასკვნა

ნაშრომში განხილული მთელი რიგი მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოში მე-XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1918-1921 წლებში, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აზრი უკვე საკმაოდ კარგად იყო მომზადებული, რომ დღის წესრიგში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროების საკითხი დაეყენებინათ, რაც ასახულია კიდეც სამართლებლივ აქტებში და კონსტიტუციაშიც, რის შემუშავებაშიც თვითონ ქალებიც იყვნენ ჩართულნი.

გამოყენებული ლიტერატურა:

მელაძე, თ., (2017), „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2017, (შპს "სეზანი").

დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, (1918), დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა დამტკიცებულია პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალსნოემბერს, თბილისი : ბართლომე კილაძის სტამბა.

გაზ. საქართველოს რესპუბლიკა”, 1919წ. 21 იანვარი, #15

საქართველოს კონსტიტუცია, (1921), მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისი

შარაშენიძე, ვ., (1990), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, გამომცემლობა „ივერთა მხარე“, თბილისი.

ჭანტურიძე, ს., (2018), ქალები გასული საუკუნიდან 1918-1921, გამოცემულია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ, თბილისი.

ქალთა ფონდი საქართველოში, (2013), კატო მიქელაძის პრემია ქალი უფლებათა დამცველებისთვის,
https://www.womenfundgeorgia.org/ka/Timeline/KatoMikeladzeAward,
ნანახია 10.10.2022

Manana Darchashvili
Eka Darbaidze

Women's Right in the First Democratic Republic of Georgia (1918-1921)

Summary

Although the First Democratic Republic of Georgia existed for a short period (1918-1921), it left an important mark in the history of the country, because these three years left a model of an exemplary state, where the civil and political rights of all citizens were equally protected, regardless of nationality and gender.

Therefore, even at the beginning of the last century, despite the political legacy, in search of solutions to the not so favorable situation, in order to improve the legal status of women, involvement in politics, as many researchers believe, the study/sharing of past experiences is very relevant. In addition, a number of facts prove that this is one of the issues that is considered a prerequisite for a democratic society.

The purpose of our work is to present the possibility of resolving the problem with the correct political understanding of the past, which is to offer a certain opportunity to the future generations of the country to build a democratic state where there will be a great effort to fully protect the rights of every citizen, regardless of language, gender, religion, and also, Everyone will have the opportunity to develop.

Key words: Georgia, independence, women's rights, democracy, 1918-1921.